განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა – ქრისტიანობის ისტორია

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

2018 წლის 8 მაისი

თბილისი

2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204577582 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქრისტიანობის ისტორია |
| განათლების საფეხური | მესამე საფეხური – დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ისტორიის დოქტორი – 1004 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეიმურაზ პაპასქირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ხუციშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მალხაზ თორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეონა ჟუჟუნაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 კრედიტი – კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი, თავის მხრივ, შედგება სავალდებულო კურსების 40 კრედიტისაგან (აქედან 30 კრედიტი ეთმობა უშუალოდ სასწავლო კურსებს, 5 კრედიტი – პროფესორის ასისტენტობას, 5 კრედიტი – საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარებას) და არჩევითი კურსების 20 კრედიტისაგან (სულ დოქტორანტს აქვს საშუალება აირჩიოს 4 კურსი შემოთავაზებული 9 არჩევითი კურსიდან). კვლევითი კომპონენტი ლოგიკურად არის დაყოფილი. პროგრამა ანიჭებს ისტორიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული დარგის/სპეციალობების ჩამონათვალთან. ამავე დროს, იქიდან გამომდინარე, რომ ერთ-ერთი სავალდებულო საგანი (ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები) არსებული სახით არ შეესაბამება სადოქტორო დონეს, პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ მიღწეულ იქნება პროგრამით დასახული მიზნები და სწავლის შედეგები უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა 2018 წლის 8 მაისს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ სპეციალისტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. ვინაიდან უნივერსიტეტი ამჟამად არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრა გათვალისწინებული არ იყო. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა.

ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის V, მეტწილად II და III და ნაწილობრივ I და IV სტანდარტებს.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამა შესაბამისობაშია მოსაყვანი უნივერსიტეტის მისიასთან (ან პირიქით, მისიაა განსაახლებელი, რომ მან მოიცვას ახალი პროგრამები).
- არჩევითი კურსების ჩამონათვალი გასამდიდრებელია წმინდა ისტორიული საგნებით, რომლებიც კავშირში იქნება ქრისტიანობის ისტორიის აქტუალურ პრობლემებთან;
- ცალკეული კურსები, (ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები, კულტურის ანთროპოლოგია), საჭიროებს თემატიკის და ლიტერატურის გადახალისებას, გარდა ამისა, სავალდებულო საგნის „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები" სილაბუსი უნდა გადამუშავდეს და მოყვანილ იქნას შესაბამისობაში სადოქტორო დონესთან;
- პროგრამის შემუშავებისას აკადემიური პერსონალის უფრო აქტიური ჩართვა იყოს უზრუნველყოფილი და ის არ შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული კურსის მომზადებით.
- დასახვეწია პროგრამის სტრუქტურა და მასში მკაფიოდ და ლოგიკურად უნდა გაიწეროს სავალდებულო და არჩევითი კურსების აღების პრინციპები, აგრეთვე ლოგიკური იქნება, რომ სტუდენტმა ჯერ გაიაროს პროფესორის ასისტენტობა, შემდეგ სემესტრში კი – საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტს უფრო გაუადვილდება საჩვენებელი ლექციის მომზადება და ჩატარება.
- გასასწორებელია პროფესორის ასისტენტის შეფასების სქემა და ის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი.
- უნივერსიტეტს გასაწერი აქვს, თუ როგორ მოხდება პუბლიკაციების გამოქვეყნება საერთაშორისო გამოცემებში და რომელ გამოცემებს მიენიჭება პრიორიტეტი.
- უნივერსიტეტის წარმატებული ინტერნაციონალიზაციისთვის რეკომენდებულია, მას ჰქონდეს სწორი ორიენტირები, სამოქმედო გეგმა, რომლიც მიხედვითაც ის განავითარებს ამ მიმართულებას, პროგრამაზე სტუდენტების არსებობის შემთხვევაში.
- უნივერსიტეტმა აუცილებლად უნდა შეიძინოს ერთი ელექტრონული ბაზა მაინც (ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავლად JSTOR-ი მიგვაჩნია), რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, უპრობლემოდ ისარგებლონ სამეცნიერო სტატიებით მათ დარგში.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დოკუმენტაციის მოწესრიგება. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 12 ოქტომბრის №032/01 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამათა ნუსხაში მითითებულია სადოქტორო პროგრამა „ქრისტიანობის კვლევები", ხოლო უშუალოდ პროგრამასა და თვითშეფასების კითხვარში მითითებულია „ქრისტიანობის ისტორია". აღნიშნული ტერმინები არ არის ერთმანეთის თანაფარდი და საჭიროა დაზუსტება, თუ რომელია ამ შემთხვევაში სწორი.
- სასურველი იქნება, თუ უნივერსიტეტი დანერგავს პლატფორმას (მაგალითად, Flipbook-ს ან მის მსგავს სხვა პროგრამას), რომელიც შესაძლებელს გახდის უნივერსიტეტის კომპიუტერებზე ელექტრონული წიგნების კითხვას მათი ამობეჭდვის ან შენახვის უფლების გარეშე. ამით უნივერსიტეტი შეძლებს საკუთარი კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებას საავტორო უფლებების დარღვევის გარეშე.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
| --- |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამის მიზნებია: „განახორციელოს კვლევები ქრისტიანობის ყველა კონფესიასა და მიმდინარეობასთან მიმართებაში; შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზების კვლევის საფუძველზე წამოსწიოს ისტორიულ მეცნიერებათა თვალსაზრისით პრობლემური და შეუსწავლელი საკითხები, გააშუქოს და განიხილოს ისინი სხვადასხვა კონტექსტში (საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით ეკლესიათშორის, ინტერკონფესიურ, ინტერრელიგიურ, სეკულარულ ურთიერთობებში); მიმდინარე ისტორიული პროცესების შესწავლით არა მარტო აიხსნას თანამედროვე ეტაპზე ქრისტიანობაში არსებული ინსტიტუციური, რელიგიური და სხვა პრობლემები, არამედ კვლევებით წარმოჩინდეს ამ პრობლემათა დაძლევის გზები; დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც დამოუკიდებელ წვლილს შეიტანენ საერთაშორისო და ნაციონალურ ქრისტიანულ სივრცეებში მიმდინარე პროცესების ანალიზში და წარმოაჩენენ მათ როლსა და მნიშვნელობას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში.“ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული უნდა აღინიშნოს, რომ ისინი თითქმის არ არის თანხვედრაში უნივერსიტეტის მისიასთან. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისიის თანახმად, განსაზღვრულია რომ უნივერსიტეტმა: „1. საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო სივრცეში შეინარჩუნოს ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები და უზრუნველყოს მათი შერწყმა თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგიურ მიღწევებთან; გამოიყენოს ქართული და ევროპული მეცნიერული სკოლების მემკვიდრეობა და ჩართოს მომავალი სპეციალისტების აღზრდის – ევროპული განზომილებების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფის საქმეში; 2. ხელი შეუწყოს სოციალური მსახურების (მედიცინა და ჯანდაცვა, სოციალური მუშაობა და სოციალური უზრუნველყოფა, ინკლუზიური განათლება, მენტალური ჯანმრთელობის დაცვა, ექთნების/მოწყალების დების განათლება და ა.შ.) გაფართოებას და ამ მსახურებისათვის მზაობის განვითარებას ქვეყანაში; იზრუნოს სოციალურ მსახურებაში ეკლესიის, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლობათა, ორგანიზაციათა, სოციალურ ინსტიტუციათა ჩართულობაზე; მეცნიერულ და საგანმანათლებლო საფუძვლებზე დაყრდნობით შეიმუშაოს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესების გზები; 3. თანამედროვე საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განსხვავებულ კულტურებს შორის ურთიერთკავშირების |

| |
|---|
| განვითარებისთვის ხელშეწყობა, რაც შექმნის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, კულტურათშორისი დიალოგის წარმართვის, კონფლიქტოგენურობის შესუსტებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველს; 4. მომავალი თაობების აღზრდის მიზნით შექმნას განათლების ევროპული განზომილებების მოთხოვნათა შესაბამი სოციალური, ინსტიტუციური, ეთიკური (ზნეობრივი) და ინტელექტუალური (სასწავლო-მეცნიერული) ბაზისი.“ პროგრამა, გარკვეულწილად, შესაძლოა, შესაბამისობაში იყოს მისიის მე-3 პუნქტთან, თუმცა საკუთრივ პროგრამის სტრუქტურაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან მიმართებით არსებული კურსები ატარებს არჩევით ხასიათს, შესაბამისად, ამის დაბეჯითებით მტკიცება რთულია, მით უმეტეს, რომ პროგრამა ახალია და მას არ ჰყავს კურსდამთავრებულები თუ დოქტორანტები. გარდა ამისა, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველ რიგში, ეს ეხება ბიბლიოთეკას, პროგრამის მიზნების მიღწევა საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს.<br>როგორც დამსაქმებლებთან საუბარმა ცხადყო, პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მას გააჩნია შესაბამისი შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში მის კურსდამთავრებულებს შესაბამისი სამსახურით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისია (http://www.king-tamar.net/index.php?option=com_content&view=article&id=434&Itemid=129);<br>o ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>o პროგრამა შესაბამისობაშია მოსაყვანი უნივერსიტეტის მისიასთან (ან პირიქით, მისიაა გასაახლებელი, რომ მან მოიცვას ახალი პროგრამები). |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია დოკუმენტაციის მოწესრიგება. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 12 ოქტომბრის №032/01 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამათა ნუსხაში მითითებულია სადოქტორო პროგრამა „ქრისტიანობის კვლევები“, ხოლო უშუალოდ პროგრამასა და თვითშეფასების კითხვარში მითითებულია „ქრისტიანობის ისტორია“. აღნიშნული ტერმინები არ არის ერთმანეთის თანაფარდი და საჭიროა დაზუსტება, თუ რომელია ამ შემთხვევაში სწორი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში წარმოდგენილი ცალკეული სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ნაწილები სრულად ვერ უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტები ლოგიკურად არის გადანაწილებული და სწავლების მეთოდები სწორად არის მითითებული, სასწავლო კურსების ნაწილი თავისი თემატიკით არ შეესაბამება სადოქტორო დონეს და არ არის სრულ შესაბამისობაშია პროგრამაში აღწერილ სწავლის შედეგებთან. არჩევითი კურსების თემატიკა გარკვეულწილად დახვეწას საჭიროებს, რადგანაც მხოლოდ რელიგიური პრობლემების საკითხების სწავლება, როდესაც ენიჭება ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, სავარაუდოდ, სრულფასოვანი სპეციალისტის ჩამოყალიბებას ვერ უზრუნველყოფს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს არ ექნება პირველ ან მეორე საფეხურზე მიღებული სპეციალური განათლება ისტორიის დარგში. როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსების სილაბუსების ნაწილი მოითხოვს უცხოენოვანი ლიტერატურით გამდიდრებას, ხოლო ზოგიერთ კურსში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია წიგნები, რომლებიც თავისი შინაარსით საბაკალავრო დონეს შეესაბამება (დეტალურად იხ. რეკომენდაციების ნაწილი). როგორც ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, პროფესურა სილაბუსებში უთითებს მხოლოდ იმ წიგნებს, რომლებიც ინახება ბიბლიოთეკაში. ვინაიდან უნივერსიტეტმა პროფილი არც ისე დიდი ხნის წინ შეიცვალა (მანამდე ის მთლიანად სოციალური მედიცინის მიმართულებაზე იყო ორიენტირებული), ბიბლიოთეკა საჭიროებს ლიტერატურით გამდიდრებას. მართალია, უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს, შეიძინოს ახალი ლიტერატურა, მაგრამ ეს დაკავშირებულია სერიოზულ ხარჯებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- ცალკეული კურსების სილაბუსები;
- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- არჩევითი კურსების ჩამონათვალი გასამდიდრებელია წმინდა ისტორიული საგნებით, რომლებიც კავშირში იქნება ქრისტიანობის ისტორიის აქტუალურ პრობლემებთან

ცალკეული კურსები, რომლებიც საჭიროებს თემატიკისა და ლიტერატურის გადახალისებას:

- ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები (სპეციალობის სავალდებულო) – ფაქტობრივად წარმოადგენს ქრისტიანობის ისტორიის კურსს გაზმული, ქრონოლოგიური სახით (და არა პრობლემაზე ორიენტირებული თემატიკით) და არსებული სახით არ შეესაბამება დოქტორანტურის დონეს. გარდა ამისა, ძირითად ლიტერატურაში გვხვდება წიგნები, რომლებიც, თავისი დონით, ბაკალავრიატს შეესაბამება (მაგალითად, კარტერ ლინდბერგის A brief Introduction to Christianity). დამხმარე ლიტერატურა მწირია. გარდა ამისა, გაუგებარია, რატომ არის მითითებული კემბრიჯის ქრისტიანობის ისტორიის პირველი ორი ტომი ძირითად ლიტერატურაში, ხოლო IV-VIII ტომები – დამატებით ლიტერატურაში (ჩვენი აზრით, მათი ადგილი ძირითად ლიტერატურაშია, მე-3 ტომი კი, როგორც ჩანს, უბრალოდ გამორჩენილია სიაში).
- საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები (არჩევითი) – ფაქტობრივად წარმოადგენს ქრისტიანობის ისტორიის კურსს გაზმული, ქრონოლოგიური სახით (და არა პრობლემაზე ორიენტირებული თემატიკით). გარდა ამისა, ძირითად ლიტერატურაში მითითებულია 5 წიგნი თუ სტატია, დამხმარეში – 2 წიგნი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ლიტერატურის გამდიდრება.
- კულტურის ანთროპოლოგია (არჩევითი) – ძირითად ლიტერატურაში გვხვდება წიგნები, რომლებიც, თავისი დონით, ბაკალავრიატს შეესაბამება (მაგალითად,კულტუროლოგია, ნადია სერემეტაკისის An Introduction to Cultural Anthropology, ჯეიმს კლიფორდისა და ჯორჯ მარკუსის Writing Culture: The Poetics and Politics of Ethnography და ა.შ.);
- თანამედროვე რელიგიური მოძრაობები (არჩევითი) – საჭიროებს თემატიკის მცირე ცვლილებას, ვინაიდან სილაბუსში რელიგიურ მოძრაობებად, სხვებთან ერთად, დასახელებულია ფემინიზმი და ემოს სუბკულტურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნება, თუ უნივერსიტეტი დანერგავს პლატფორმას (მაგალითად,

Flipbook-ს ან მის მსგავს სხვა პროგრამას), რომელიც შესაძლებელს გახდის უნივერსიტეტის კომპიუტერებზე ელექტრონული წიგნების კითხვას მათი ამობეჭდვის ან შენახვის უფლების გარეშე. ამით უნივერსიტეტი შეძლებს საკუთარი კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებას საავტორო უფლებების დარღვევის გარეშე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 კრედიტი – კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი, თავის მხრივ, შედგება სავალდებულო კურსების 40 კრედიტისაგან (აქედან 30 კრედიტი ეთმობა უშუალოდ სასწავლო კურსებს, 5 კრედიტი – პროფესორის ასისტენტობას, 5 კრედიტი – საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარებას) და არჩევითი კურსების 20 კრედიტისაგან (სულ დოქტორანტს აქვს საშუალება აირჩიოს 4 კურსი შემოთავაზებული 9 არჩევითი კურსიდან). კვლევითი კომპონენტი ლოგიკურად არის დაყოფილი. პროგრამა ანიჭებს ისტორიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული დარგის/სპეციალობების ჩამონათვალთან. ამავე დროს, იქიდან გამომდინარე, რომ ერთ-ერთი სავალდებულო საგანი (ქრისტიანობის

| |
|---|
| ისტორიის აქტუალური პრობლემები) არსებული სახით არ შეესაბამება სადოქტორო დონეს, პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ მიღწეულ იქნება პროგრამით დასახული მიზნები და სწავლის შედეგები უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის კვალიფიკაციათა აღწერის შესაბამისად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა;<br>o კურსების სილაბუსები;<br>o გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>საგნის „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“ სილაბუსი უნდა გადამუშავდეს და მოყვანილ იქნას შესაბამისობაში სადოქტორო დონესთან. გარდა ამისა, არჩევითი კურსების სილაბუსების ნაწილი გასასწორებელია თემატიკურად და გასამდიდრებელია ლიტერატურით (დეტალურად იხ. რეკომენდაცია სტანდარტში 1.2). |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ჩვენი აზრით, ზოგადად, სადოქტორო პროგრამისთვის დასაქმება ვერ იქნება მოთხოვნა, რადგანაც, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, დოქტორანტების უდიდესი უმრავლესობა უკვე დასაქმებულია სწავლის მესამე საფეხურზე გაგრძელების მომენტისათვის. ამავე დროს, აკადემიური თუ სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად აუცილებელი პირობაა კონკურსი, შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია წინასწარი შეთანხმების გაფორმება დამსაქმებლებთან, თუმცა ამ შემთხვევაში ადგილი გვაქვს გამონაკლისთან. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დამსაქმებლებთან, რომელიც პირობას დებს, რომ გონივრულ ვადებში დაასაქმებს პროგრამის კურსდამთავრებულებს. ამავე დროს, პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა, როგორც აღინიშნა სტანდარტში 1.3, არსებული სტრუქტურით არ არის გარანტირებული. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა;<br>o გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან;<br>o ხელშეკრულება დამსაქმებლებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერსებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი; ვინაიდან პროგრამა ახალია, მის შემუშავებაში მონაწილეობას სტუდენტები და კურსდამთავრებულები ფიზიკურად ვერ მიიღებდნენ, თუმცა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, მას ჰქონდა გარკვეული კონსულტაციები სხვა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულ მაგისტრანტებთან) მონაწილეობის მექანიზმი. დამსაქმებლებთან საუბარში გაირკვა, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს პროგრამის სტრუქტურის განხილვაში. უფრო მეტიც, – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სამსახურის კურატორმა აღნიშნა, რომ მათ სემინარიებში სჭირდებათ ადგილობრივი კადრების დასაქმება, რომლებიც გაივლიან აღნიშნულ პროგრამას. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათი უმრავლესობა, ძირითადად, საკუთარ კურსებზეა ორიენტირებული და ნაკლებად ჰქონდა მიღებული მონაწილეობა სტრუქტურის შემუშავებაში. როგორც მათ აღნიშნეს გასაუბრებისას, ძირითადად, პროგრამის ხელმძღვანელისგან მიიღეს შეთავაზება ამა თუ იმ კურსის მომზადების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

პროგრამის შემუშავებისას აკადემიური პერსონალის უფრო აქტიური ჩართვა იყოს უზრუნველყოფილი და ის არ შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული კურსის მომზადებით.

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | X | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| |
|---|
| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი |

ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვს სოციალურ, ჰუმანიტარულ და მიმართულებათშორის მეცნიერებებში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელების რეკომენდაციებით; დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე რომელიმე სხვა უცხო ენა) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, ხოლო უცხოენოვან მოქალაქეს, ამასთან ერთად, მოეთხოვება ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება. გარდა ამისა, როგორც გასაუბრებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი უცხო ენის გამოცდის ჩასაბარებლად აირჩევს რუსულს, ამუშავდება უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-9 პუნქტი და მას დამატებით მოეთხოვება სტატიის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნება. მთლიანობაში პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და მეტწილად უზრუნველყოფს როგორც პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა ჩართვას, ისე მათ მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- გასაუბრებები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან;
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სწავლის შედეგების მისაღწევად სადოქტორო პროგრამაში გამოყენებულია სწავლისა და სწავლების შემდეგი მეთოდები: ინდუქციური, დედუქციური, ჯგუფური მუშაობის, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტებითი, პრობლემაზე დაფუძნებული და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, გონებრივი იერიში, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, სიტუაციური თამაშები, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ვერბალური მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია და სხვ. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღების საშუალებას იძლევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის სავალდებულო თუ არჩევით კურსებს წინაპირობები არ გააჩნიათ, რაც სავსებით ლოგიკურია მესამე საფეხურის სწავლებისათვის. ამავე დროს, პროგრამაში არ ჩანს მკაფიოდ გაწერილი სტრუქტურა. დასახვეწია სავალდებულო და არჩევითი კურსების აღების პრინციპები, რადგანაც არჩევითი კურსების აღება ხდება უკვე პირველი სემესტრიდან, მაშინ როდესაც თემის დამტკიცება ხდება მეორე სემესტრის ბოლოს. საერთოდ, არჩევითი კურსების თემატიკა გარკვეულწილად დახვეწას საჭიროებს, რადგანაც მხოლოდ რელიგიური პრობლემების საკითხების სწავლება, როდესაც ენიჭება ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, სავარაუდოდ, სრულფასოვანი სპეციალისტის ჩამოყალიბებას ვერ უზრუნველყოფს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს არ ექნება პირველ ან მეორე საფეხურზე მიღებული სპეციალური განათლება ისტორიის დარგში. გარკვეულწილად შეუსაბამოდ ჩანს მესამე სემესტრში ერთდროულად პროფესორის ასისტენტობისა (პროგრამაში სიტყვა „ასისტენტობის“ ნაცვლად რატომღაც თითქმის ყველგან ქართულში არარსებული სიტყვა „ასისტენტირება“ არის მოხსენიებული) და საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარების სავალდებულოდ ჩასმა. აქედან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურა გარკვეულწილად ითხოვს დახვეწას სტანდარტის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

| |
|---|
| o ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა;<br>o სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o გასაუბრებები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>o არჩევითი კურსების ჩამონათვალი გასამდიდრებელია წმინდა ისტორიული საგნებით, რომლებიც კავშირში იქნება ქრისტიანობის ისტორიის აქტუალურ პრობლემებთან;<br>o დასახვეწია პროგრამის სტრუქტურა და მასში მკაფიოდ და ლოგიკურად უნდა გაიწეროს სავალდებულო და არჩევითი კურსების აღების პრინციპები, აგრეთვე ლოგიკური იქნება, რომ სტუდენტმა ჯერ გაიაროს პროფესორის ასისტენტობა, შემდეგ სემესტრში კი – საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტს უფრო გაუადვილდება საჩვენებელი ლექციის მომზადება და ჩატარება. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

